საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/04 **18/04/2022**

დასკვნა-რეკომენდაცია უსგ პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

წინამდებარე დასკვნა-რეკომენდაცია ეხება არასამთავრობო ორგანიზაცია „ხარისხის საკონსულტაციო ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამას „კიბოს პრევენცია და ადრეული გამოვლენა პირველად ჯანდაცვაში“.

ქრონიკული დაავადებები, მათ შორის საშვილოსნოს ყელის, სარძევე ჯირკვლის და პროსტატის კიბო ავადობისა და სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის ამ საკითხების აქტუალობა განსაკუთრებით გამოიკვეთა იმის გამო, რომ 2021 წლის 30 აგვისტოს N01-340/ო ბრძანებით დამტკიცდა განახლებული პროტოკოლი „18-65 წლის ახალი და ჯანმრთელი პაციენტის შემოწმება პირველად ჯანდაცვაში“, რომელიც, ასევე, ითვალისწინებს ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგს და რომლის რეკომენდაციების გაცნობა პჯდ პერსონალისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია.

ამ დაავადებებით გამოწვეული ავადობა, სიკვდილიანობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ხარჯები მძიმე ტვირთია თანამედროვე მსოფლიოსთვის და საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის და სწორედ პირველადი ჯანდაცვაა ის რგოლი, სადაც უნდა მოხდეს აღნიშნული დაავადებების ეფექტური პრევენცია, ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და მართვა.

არსებობს მყარი მეცნიერული მტკიცებულებები, რომ სკრინინგი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში ამცირებს სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის, მსხვილი ნაწლავის და პროსტატის კიბოთი სიკვდილობას, ამასთან სკრინინგის მიზნით გამოყენებული ტესტები თითქმის თანაბრად ეფექტურია დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მიზნით, თუმცა, რა თქმა უნდა, ცალკეული მათგანი განსხვავებული უპირატესობითა და ნაკლით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედებს კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა, რომლის უტილიზაციაც სამწუხაროდ სათანადოდ არ ხორციელდება, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში კიბოს დადგენილი დიაგნოზების, დაახლოებით ნახევარი, მესამე-მეოთხე სტადიაზე ისმება, როდესაც მკურნალობის მეთოდები გაცილებით ნაკლებ ეფექტურია, ვიდრე ადრეულ სტადიაზე გამოვლენის შემთხვევაში.

ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტთან კომუნიკაციას და მასთან დაკავშირებულ მრავალ ფაქტორს. ოჯახის ექიმებს, მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული როლი აკისრიათ პაციენტთან ეფექტურ კომუნიკაციაში და ინფორმაციის იმგვარად მიწოდებაში, რაც დაარწმუნებს პაციენტს სკრინინგის აუცილებლობაში და გაზრდის ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგის სახელმწიფო პროგრამების უტილიზაციას.

მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილ სასწავლო კურსში გარდა ონკოლოგიური დაავადებების კლინიკური ასპექტებისა, დიდი ყურადღება ეთმობა სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის, სწორი ნაწლავისა და პროსტატის კიბოს სკრინინგის შესახებ პაციენტზე ორიენტირებულ კომუნიკაციას, ყოვლისმომცველ და ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სკრინინგული პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის.

წარმოდგენილი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა, თავისი სტრუქტურით, გამოყენებული მასალებითა და სასწავლო მეთოდებით სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მისცემს საშუალებას მსმენელებს - ოჯახის ექიმებს, ექთნებს, პირველადი ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებს გაიუმჯობესონ სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგის შესახებ კონსულტირებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები, და გაზარდონ ამ დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის სიხშირე, პირველად ჯანდაცვაში სკრინინგული პროგრამების რუტინულად გამოყენების გზით.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით პროგრამა არ ემსახურება ინდუსტრიის რომელიმე წარმომადგენლის ინტერესებს, მათ შორის, ის არ ემსახურება ამა თუ იმ ფარმაცევტული საშუალებისა თუ სამედიცინო აღჭურვილობის რეკლამირებას და მისი გაყიდვების ხელშეწყობას. პროგრამა დაფუძნებულია საუკეთესო პრაქტიკასა და გამოცდილებაზე. აღნიშნული დაწვრილებით არის მითითებული სააპლიკაციო ფორმაში.

დასასრულ, ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, დადებითად ვაფასებთ წარმოდგენილ უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამას „კიბოს პრევენცია და ადრეული გამოვლენა პირველად ჯანდაცვაში“ და ვთვლით, რომ სასურველია მოხდეს მისი აკრედიტაცია არსებული წესის მიხედვით.

პატივისცემით,



ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი